ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6771029

ნომერი: AR1999327

თარიღი : 07.11.2023

გაცემის თარიღი : 21.11.2023

გაცნობის თარიღი : 21.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აღმაშენებლის ხეივანი N256 მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისი , (თბილისის მიმართულებით) ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-13 კმ ; ქალაქი თბილისი , დ. აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისი, თბილისის მიმართულებით;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ზირაქაშვილი პ/ნ 01024083267
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 5 ბ. 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 20/07/2023 წლის №6569508 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/11/2023 წლის AR1999327 განცხადებით მომართა მოქალაქე გიორგი ზირაქაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 20/07/2023 წლის №6569508 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 20/07/2023 წლის №6569508 ბრძანებით, ქალაქთბილისში, ქუჩა აღმაშენებლის ხეივანი N256 მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისი, (თბილისის მიმართულებით); ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-13 კმ; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისი, თბილისის მიმართულებით, (ს/კ 01.72.14.098.201, ფართობი: 631.0 კვ.მ) რესტორნის რეკონსტრუქციის მიზნით, დამტკიცდა მიწისნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20/07/2023 წლის №6569508 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საზოგადოებრივ საზღვრად დამატებით N01.72.14.006.877 საკადასტრო ერთეულის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტშიცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვსმის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 6 ნოემბრის N61-01233103719 წერილის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 20/07/2023 წლის №6569508 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში საკადასტრო მონაცემებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20/07/2023 წლის №6569508 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საზოგადოებრივ საზღვრად დამატებით დაფიქსირდეს N01.72.14.006.877 საკადასტრო ერთეული.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20/07/2023 წლის №6569508 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.